ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი** რეგულარულად ატარებს ფორუმებს საჯარო დისკუსიის სახით სახელმწიფო მმართველობის აქტუალურ საკითხებზე. ფორუმის მიზანია, შედგეს დიალოგი მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს შორის მოცემული თემის საჭირბოროტო საკითხების ირგვლივ, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მოიძებნოს არსებული პრობლემების საუკეთესო გადაწყვეტილების გზები და დაისახოს სამომავლო პერსპექტივები.

ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის რიგით მე-10 ფორუმი ჩატარდება

2016 წლის 1 დეკემბერს, თსუ პირველი კორპუსი, აუდ. 06, 15:30 საათზე

თემაზე

საჯარო სამსახურის ეთიკა: გამოწვევები და რეფორმის პერსპექტივები

ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ როგორც აკადემიური წრეების წარმომადგენლები, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების და უწყებების მოხელეები, რომლებსაც თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში უშუალო შეხება აქვთ მოცემულ საკითხებთან.
ფორუმში ასევე მონაწილეობას მიიღებს გერმანელი ექსპერტი პროფესორი **ჰანს იოაჰიმ რიეგერი, გერმანიის მოხელეთა კავშირის აკადემიის დირექტორი.**

დღის წესრიგი

15:30 მიღება

16:00 ფორუმის გახსნა

პროფ. ირაკლი ბურდული, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის (IAS) გამგეობის თავმჯდომარე

პროფ. ეკატერინე ქარდავა, საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელი

პროფ. გიორგი ხუბუა, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის (IAS) აკადემიური დირექტორი

16:15 მოხსენება: მოხელის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა უკანონო ბრძანების შესრულებაზე,- **პროფ. გიორგი ხუბუა**

დისკუსია

17:00 მოხსენება: საჯარო სამსახურის ეთიკის კოდექსის პროექტის პრეზენტაცია,- **გვანცა ბესელია, საჯარო სამსახურის ბიურო, კოდექსის თანაავტორი**

დისკუსია

17:45 მოხსენება: საჯარო სამსახურის ეთიკა,- **ჰანს იოაჰიმ რიეგერი, გერმანიის მოხელეთა კავშირის აკადემიის დირექტორი.**

დისკუსია

18:30 შედეგების შეჯამება